საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060138312953516

ბრძანება **N0-616**

ქ. თბილისი **22** / ნოემბერი / **2016** წ.

შპს ,,შავი ზღვის ტერმინალი''-ს ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტემინალში, **#6** სარეზერვუარო პარკში, **2X3000** კუბ.მ და **2X2000** კუბ.მ მოცულობის ნავთობპროდუქტების (პიროლიზური პროდუქტის და ინდუსტრიული ზეთის) საცავების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №60; 22.11.2016 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულევში შპს ,,შავი ზღვის ტერმინალი''-ს ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტემინალში, #6 სარეზერვუარო პარკში, 2X3000 კუბ.მ და 2X2000 კუბ.მ მოცულობის ნავთობპროდუქტების (პიროლიზური პროდუქტის და ინდუსტრიული ზეთის) საცავების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს ,,შავი ზღვის ტერმინალი''-მა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№60; 22.11.2016) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,შავი ზღვის ტერმინალს'';
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,შავი ზღვის ტერმინალის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი — გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე

№ 60

22 ნოემბერი 2016 წ.

1. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტემინალში, #6 სარეზერვუარო პარკში, 2X3000 კუბ.მ და 2X2000კუბ.მ მოცულობის ნავთობპროდუქტების (პიროლიზური პროდუქტის და ინდუსტრიული ზეთის) საცავის მშენებლობა და ექსპლუატაცია.
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „შავი ზღვის ტერმინალი". ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულევი.
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა – ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულევი.
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 09.11.2016 წ.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „გამა კონსალტინგი".

II ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია სოფ. ყულევში შპს ,,შავი ზღვის ტერმინალი"-ს ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტემინალში, #6 სარეზერვუარო პარკში, 2X3000 კუბ.მ და 2X2000 კუბ.მ მოცულობის ნავთობპროდუქტების (პიროლიზური პროდუქტის და ინდუსტრიული ზეთის) საცავების მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. განსახილველი ობიექტის ტერიტორია წარმოადგენს შპს ,,შავი ზღვის ტერმინალი"-ს საკუთრებას რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით (საკადასტრო კოდი #45.15.21.065; 10.05.2016).

ამავე, #6 სარეზერვუარო პარკში, იზოპროპილის სპირტის განსათავსებლად ასევე დაგეგმილია ერთი ერთეული 2000 კუბ.მ მოცულობის რეზერვუარის მშენებლობა. შპს ,,შავი ზღვის ტერმინალი"-ს მიერ, საჯარო განხილვის მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილი იყო 12 000 კუბ.მ ჯამური მოცულობის საცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზშ-ს ანგარიში, რომელიც ითვალისწინებდა როგორც პიროლიზური პროდუქტის და ინდუსტრიული ზეთის, ასევე იზოპროპილის სპირტისთვის განკუთვნილი რეზერვუარების მშენებლობას.
ვინაიდან, იზოპროპილის სპირტი წარმოადგენს საშიშ ქიმიურ ნივთიერებას და მისი საცავების განთავსება ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ფ" ქვეპუნქტის თანახმად, ხოლო ინდუსტრიული ზეთები და პიროლიზური პროდუქტები (ქიმიური შემადგენლობა მწარმოებლის დოკუმენტის მიხედვით) განეკუთვნება ნავთობპროდუქტებს და მათი საცავების განთავსება ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის თანახმად, საქმიანობა განიხილული იქნა როგორც ორი დამოუკიდებელი საქმიანობა, ამიტომ თითოეული საქმიანობისათვის ცალ-ცალკე იქნა წარმოდგენილი შესაბამისი გზშ-ს ანგარიში.

გზშ-ს ანგარიშის თანახმად:

შპს „შავი ზღვის ტერმინალი"-ს ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის ტერიტორიაზე იგეგმება ახალი #6 სარეზერვუარო პარკის მშენებლობა, რომელშიც განთავსდება 2 ერთეული 3000 კუბ.მ მოცულობის, ასევე, ერთი ერთეული 2000 კუბ.მ მოცულობის რეზერვუარი პიროლიზური პროდუქტისთვის და ერთი ერთეული 2000 კუბ.მ მოცულობის რეზერვუარი ინდუსტრიული ზეთის განსათავსებლად.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი"-ს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალი მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულევის ტერიტორიაზე. ტერმინალის საქმიანობის მიზანია ნავთობის, ნავთობპროდუქტების და სხვა ქიმიური ტვირთების მიღება, დასაწყობება და ტანკერებში ჩატვირთვა. ტერმინალიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი

მდებარეობს 320 მეტრში. შავ ზღვასა და ტერმინალს შორის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს აკუმულირებული ქვიშის ზვინი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით - მდ. ცივი, რომლის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებულია სოფელი ყულევი. მდ. ცივსა და ნავთობტერმინალს შორის მანძილი 50 მეტრია.

ანგარიშში მოცემულია ტერმინალის განთავსების რაიონისა და ტერიტორიის კლიმატურ-მეტეოროლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები. ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლად არის წარმოდგენილი წყლისა და ჭაობის მცენარეულობა, მათ შორის გვხვდება იშვიათი სახეობები. ყულევის ტერმინალიდან ნაბადას ბუნებრივ-გეოგრაფიული უბნის (დაცული ტერიტორია) საზღვარი დაცილებულია 250 მეტრით.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია განლაგებულია ყულევის ნავთობის ტერმინალის მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე უბანზე, საქმიანობის განხორციელების პროცესში ფლორასა და ფაუნაზე პირდაპირი ნეგატიური ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

ყულევის ტერმინალში უკვე განთავსებულია 5 სარეზერვუარო პარკი და წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით იგეგმება მე-6 სარეზერვუარო პარკის მშენებლობა, რომელიც განთავსდება ტერმინალის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე. ტერმინალში განთავსებული რეზერვუარები აღჭურვილია 4 ცალი სასუნთქი სარქველით „მცირე“ და „დიდი“ სუნთქვის ჩასახშობად. ასევე ტემპერატურის, დონის და სიმკვრივის მზომი სისტემებით, ხოლო მონაცემთა გადაცემა ხორციელდება ავტომატურად, მართვის პულტის საშუალებით.

ვინაიდან, ტერმინალის თავდაპირველი პროექტი ითვალისწინებდა პერსპექტივაში ახალი სარზერვუარო პარკების განთავსებას, ტერმინალში სარკინიგზო ესტაკადები, სატუმბი სადგურები, ტექნოლოგიური მილსადენები და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები დაპროექტებული და მოწყობილია პერსპექტივაში ახალი სარეზერვუარო პარკების ექსპლუატაციის გათვალისწინებით და შესაბამისად, #6 სარეზერვუარო პარკის მოწყობა არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციას ან ახლი ინფრასტრუქტურის მოწყობას არ საჭიროებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო, #6 სარეზერვუარო პარკის მშენებლობისთვის სხვა ალტერნატიული ტერიტორიის შერჩევა/განხილვა არ მომხდარა. განხილული იქნა მხოლოდ რეზერვუარების კონსტრუქციის ალტერნატიული ვარიანტები, კერძოდ, ლითონის ვერტიკალური რეზერვუარები მცურავი სახურავებით და ლითონის ვერტიკალური რეზერვუარები, რომლებიც აღჭურვილი იქნება ე.წ. „აზოტის ბალიში“-ს ტექნოლოგიური სისტემით.

ვინაიდან, აზოტის მიწოდების სისტემა უზრუნველყოფს მავნე აირების გაფრქვევის შემცირებას და ტერმინალის ტერიტორიაზე უკვე ფუნქციონირებს აზოტის გენერაციის სადგური, ამიტომ განხილული ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან უპირატესობა მიენიჭა ე.წ. ,,აზოტის ბალიშის'' ტექნოლოგიური სისტემით აღჭურვილი რეზერვუარების მოწყობას.

#6 სარეზერვუარო პარკში ყველა პროდუქტის მიღება მოხდება ტერმინალში არსებული სარკინიგზო ეტაკადიდან და ტანკერებში გადატვირთვისათვის გამოყენებული იქნება #96 სატუმბი სადგური.

პიროლიზური პროდუქტის ცეცხლსაშიში და ფეთქებადსაშიში თვისებების გათვალისწინებით, მისი გადატვირთვა და შენახვა შესრულდება ინერტული აირის

(აზოტის) მიწოდებით და ე. წ. „აზოტის ბალიში“-ს გამოყენებით. რაც ცეცხლსაშიშ და ფეთქებადსაშიშ რისკებთან ერთად უზრუნველყოფს ატმოსფერულ ჰაერში მათი გაფრქვევის შემცირებას. აზოტის მიწოდება მოხდება არსებული აზოტის გენერაციის სადგურიდან, რისთვისაც ახალ სარეზერვუარო პარკამდე დაგეგმილია ტექნოლოგიური მილსადენის მოწყობა.

#6 სარეზერვუარო პარკი იქნება ტერმინალის ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი სტრუქტურული ერთეული და. შესაბამისად, როგორც მთლიანად ტერმინალი, საპროექტო პარკიც იმუშავებს 24 საათიან, ორცვლიან რეჟიმში, ცვლის ხანგრძლივობა იქნება 12 საათი. #6 სარეზერვუარო პარკის მშენებლობასა და მონტაჟზე დასაქმებული იქნება ტერმინალის საინჟინრო სამსახურის სტრუქტურაში შემავალი მუშები და სპეციალისტები, ხოლო ოპერირების ფაზაში ტერმინალის არსებული შტატის ის კონტინგენტი, რომელიც ემსახურება ნავთობტერმინალს.

საპროექტო სარეზერვუარო პარკის მშენებლობისათვის გამოყენებული იქნება ტერმინალის არსებული ინფრასტრუქტურა (ბეტონის კვანძი, ავტოპარკი და სხვა), ხოლო სამშენებლო მასალები დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ახალი სამშენებლო ბაზის მოწყობა გათვალისწინებული არ არის.

#6 საპროექტო სარეზერვუარო პარკის ტერიტორიის გრუნტი ხელვნურადაა შექმნილი ტერმინალის მშენებლობის პროცესში და ძითადად ზღვიდან ამოღებული ქვიშითაა წარმოდგენილი. შესაბამისად მშენებლობის პროცესში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანებას არ ექნება ადგილი.

საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესებიდან გავრცელებულია მხოლოდ ის პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია ზედაპირულ წყლებთან, კერძოდ, ობიექტის აღმოსავლეთ ნაწილში ეს არის დაჭაობება და დატბორვა, ხოლო დასავლეთში - ზღვის აქტიური გეოდინამიური (ზღვის ღელვა) გავლენა.

რეზერვუარების განთავსების ნაკვეთი, რომლის ფართობი დაახლოებით 3000 კვ.მ-ია, ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, 2015 წლის სექტემბერში ჩატარდა საბურღი სამუშაოები. გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, ტერიტორიაზე გავრცელებულია მტვერისებრი ქვიშები, პლასტიური თიხების შუაშრეებით, ფხვიერ და წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, რომლებიც ხასიათდება ძალიან დაბალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებთ, რაც არ არის ხელსაყრელი საპროექტო რეზერვუარების საძირკვლების განსათავსებლად, ამიტომ, რეზერვუარები უნდა განთავსდეს გრუნტის ხიმინჯების საფუძველზე.

გრუნტის ხიმინჯების მოსაწყობად გამოყენებული იქნება ქვიშა-ხრეშოვანი ან ქვიშა-ღორღიანი გრუნტები. გრუნტის ხიმინჯების მოწყობის შემდეგ, გრუნტების სიმტკიცის და სადეფორმაციო მახასიათებლების საბოლოო განსაზღვრის მიზნით, ჩატარდება გრუნტის წინასწარი საველე კვლევა სტატიკური ზონდირების მეთოდის გამოყენებით. ხიმინჯების მოწყობის შემდგომ მოეწყობა ბეტონის ბაქანი და შესრულდება რეზერვუარების სამონტაჟო სამუშაოები. რეზერვუარების ძირის ქვეშ გათვალისწინებულია ჰიდროფობული მასალისგან დამზადებული საფენის

მოწყობა, რითაც რეზერვუარის ქვედა ნაწილი და ფსკერი დაცული იქნება კოროზიისგან.

პროექტით გათვალისწინებულია სტაციონარულ სახურავიანი რეზერვუარების მშენებლობა. რეზერვუარების მეტალის კონსტრუქციები ინდივიდუალური პროექტით იქნება დამზადებული. რეზერვუარები აღიჭურვება სასუნთქი და დამცავი სარქველებით, სიფონური ონკანებით, საწმენდი მოწყობილობით, ჩასასვლელი ლუკებით. პიროლიზური პროდუქტისთვის განკუთვნილი რეზერვუარები აღჭურვილი იქნებ აზოტის მიწოდების სისტემებით. პროექტი ასევე ითვალისწინებს ტექნოლოგიური მილსადენების მოწყობას, რომლებიც განთავსდება სპეციალურად მოწყობილ ბეტონის კიუვეტებში.

ახალი სარეზერვუარო პარკის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, საჭირო იქნება მისი საწარმოო წყალმომარაგება. ანგარიშში ჯამურად არის წარმოდგენილია ტერმინალის ყველა არსებული ინფრასტრუქტურის და საპროექტო #6 სარეზერვუარო პარკის ფუნქციონირებისათვის საჭირო საწარმოო წყლების რაოდენობა და ასევე ტერმინალში წარმოქმნილი საწარმოო-ტექნოლოგიური, სანიაღვრე და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეკრების გაწმენდის და მდ. ცივში ჩაშვების საკითხები.

საპროექტო სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე და საწარმოო-ტექნოლოგიური ჩამდინარე წყლები ჩართული იქნება ტერმინალში არსებულ შესაბამის საკანალიზაციო სისტემაში. რაც შეეხება სამეურნეო-ფეკალურ ჩამდინარე წყლებს, ვინაიდან #6 სარეზერვუარო პარკის ოპერირება განხორციელდება ტერმინალის არსებული პერსონალის მიერ, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლის დამატებითი რაოდენობის წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ხელახლა შემუშავდა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმდა ზედაპირული წყლის ობიექტში ,,ჩამდინარე წყლებთან ერთდ ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები", რომელშიც გათვალისწინებულია ტერმინალის ყველა არსებული უბნისა და საპროექტო, #6 სარეზერვუარო პარკის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობა.

სარეზერვუარო პარკის მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი ექნება მიწის და სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას, თუმცა ზემოქმედება იქნება ხანმოკლე (მშენებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა 5 თვეა).

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ტერმინალის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას, როგორც არსებული სარეზერვუარო პარკებიდან და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან, ასევე საპროექტო #6 სარეზერვუარო პარკიდან.

ანგარიშში წარმოდგენილია ტერმინალის ტერიტორიაზე არსებული ყველა გაფრქვევის წყაროს დახასიათება და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი ანგარიში.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებაში მოყვანილი საანგარიშო მეთოდიკის შესაბამისად განხორციელებული მავნე

ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია (და არც ჯამური ზემოქმედების მქონე ნივთიერებების კონცენტრაცია) არ აჭარბებს ნორმით დადგენილ შესამაბის მნიშვნელობებს ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

მოქმედი ჰაერდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, ტერმინალში ახალი გაფრქვევის წყაროების დამატების გამო (#6 სარეზერვუარო პარკის განთავსება), ხელახლა შემუშავდა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმდა „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი".

საცხოვრბელი ზონა მდებარეობს ტერმინალის აღმოსავლეთ მხარეს. ხმაურის წარმომქნელ წყაროებსა (სარკინიგზო ესტაკადები, სატუმბი სადფგურები და სხვა) და საცხოვრებელ ზონას შორის განთავსებულია სარეზერვუარო პარკები. შესრულებული გამოთვლების მიხედვით საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ხმაურის გავრცლების დონე არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ მნიშვნელობებს.

მშენებლობის ეტაპზე, მიწის სამუშაოების შესრულების დროს არსებობს გრუნტის წყლების დაბინძურების გარკვეული რისკები. გრუნტის წყლების დაბინძურების რისკის შემცირების მიზნით გატარდება შესაბამისი ღონისძიებები (გვ. 125).

თუ გავითვალისწინებთ, რომ სარეზერვუარო პარკების ზედაპირები, სატუმბი სადგურების შენობები და ტექნოლოგიური მილსადენების განთავსების დერფნები დაფარულია ჰიდროსაიზოლაციო ფენით, ექსპლუატაციის ეტაპზე ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობის დაზიანების, ან შემთხვევით დაღვრების შემთხვევაში, გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი მინიმალურია. ტერმინალის ტერიტორიაზე დაღვრილი პროდუქციის გავრცელებას გამორიცხავს სარეზერვუარო პარკების შემოზღუდვა, რომლის შიდა მოცულობები აღემატება რეზერვუარების საერთო მოცულობას.

მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენი გრუნტი განთავსდება ტერმინალის ტერიტორიაზე შემდგომი გამოყენების მიზნით. ხოლო მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები, ტერმინალის ნარჩენებთან ერთად შეგროვდება სეპარირებულად მათი სახეობის და საშიშროების ტიპის მიხედვით, ხოლო მათი შემდგომი მართვა განხორციელდება წარმოდგენილი ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ნარჩენების მართვის გეგმა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად გამოვლენილი პირობები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

1. მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის და შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად.
2. #6 სარეზერვუარო პარკის მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.
3. მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში განახლებული ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის წარმოდგენა, რომელშიც ჩართული იქნება #6 სარეზერვუარო პარკი.
4. ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს ტექნოლოგიური მოწყობილობების გამართულობისა და ჰერმეტულობის კონტროლი.
5. ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში'' წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.
6. ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს მონიტორინგის წარმოება როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტში ,,ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტით'' წრმოდგენილი ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა.
8. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში, დასკვნის გადაცემა განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

IV. დასკვნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილ ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულევში შპს „შავი ზღვის ტერმინალი"-ს ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტემინალში, #6 სარეზერვუარო პარკში, 2X3000 კუბ.მ და 2X2000 კუბ.მ მოცულობის ნავთობპროდუქტების (პიროლიზური პროდუქტის და ინდუსტრიული ზეთის) საცავების მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

<u>თამარ შარაშიძე</u>
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)